



ქ. ბათუმის შპს- ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის ავტორიზაციის
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი - ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი - ნინო გორგოშაძე
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი - ნინო ამირანაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში,

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია

საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

პროფესიული კოლეჯი

საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 14 ნოემბრის N1028 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექპერტი - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექპერტი - ნინო გორგოშაძე და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი - ნინო ამირანაშვილი) 2018 წლის 10,11 და 12 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით. დაწესებულება მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38.

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ ცენტრში გადმოგზავნილ მასალას, უშუალოდ ვიზიტის პერიოდში განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება და შემოწმდა არსებული ბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შემოწმდა ადამიანური რესურსის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შრომის კოდექსთან შესაბამისობა. ამავე პერიოდში განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე: სასწავლო თბომავალ „ელიტაზე“ და გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისში“. პრაქტიკის ობიექტებზე ავტორიზაციის ექსპერტები შეხვდნენ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს სტუდენტებთან მუშაობაზე და წარმოგვიდგინეს ადგილზე არსებული რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამების განსახორციელებლად. დაწესებულების წარმომადგენლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან.

როგორც შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

თბილისი, 2019

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	მუხლი 6	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს	მუხლი 6 / პუნქტი ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

<p>მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში</p>			
--	--	--	--



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	მუხლი 6 / პუნქტი ბ)		<input type="checkbox"/>
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო	მუხლი 6 / პუნქტი გ)		<input type="checkbox"/>




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	<p>დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.</p>			
1.4	<p>დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები</p>	<p>მუხლი 6 / პუნქტი დ)</p>		<input type="checkbox"/>
1.5	<p>დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები</p>	<p>მუხლი 6 / პუნქტი ე)</p>		<input type="checkbox"/>
1.6	<p>დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო</p>	<p>მუხლი 6 / პუნქტი ვ)</p>		<input type="checkbox"/>




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად			
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		<input type="checkbox"/>
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)		<input type="checkbox"/>
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტთან დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)		<input type="checkbox"/>
2.1.2	სათანადო ინვენტარით	მუხლი 7 /		<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	აღჭურვილი სასწავლო ფართი;	პუნქტი ა.ბ)		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე	მუხლი 7 / პუნქტი თ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		<input type="checkbox"/>
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		<input type="checkbox"/>
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)		<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე	მუხლი 8 / პუნქტი ბ)		<input type="checkbox"/>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;			
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მიღებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტთან (ISO). შესაბამისობის სერტიფიკატები:

- Certificate of Quality Management System Conformity (ISO): ISO 9001:1994/ISO 9001:2000 (2004, 2008); ISO 9001:2008 (2009, 2011, 2014); ISO 9001:2015(2017)
- International Certification Network: IQNet 2000 (2004, 2008 წ.); IQNet 2008 (2009, 2011, 2014 წ.); IQNet 2015 (2017 წ.).

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მაჩვენებელია შემდეგი სერტიფიკატებიც: (External Audit of BNTU by International Maritime Authority):

- Russian Register Certification System - Certificate of Quality Management System Conformity (ISO 9001:1994, ISO 9001:2000, ISO 9001:2008, ISO 9001:2015);
- European Maritime Safety Agency საზღვაო უსაფრთხოების ევროკომისიის (EMSA) შემოწმება (2013);
- Recognition by Honduras Maritime Authority(2016)
- Recognition by Panama Maritime Authority (2016)
- Recognition by Mikronesia Maritime Authority (2016)

საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დაწესებულებაზე გაცემულია საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების სერტიფიკატი;

ბნსუ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია:

- BSAMI - შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტების ასოციაცია;
- საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის საერთაშორისო კონსორციუმი.

2016 წელს უნივერსიტეტმა დააარსა საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებია შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები: ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ნიკოლაევი, უკრაინა); NorthEast Maritime Institute (მასაჩუსეტსი, აშშ); ლატვიის ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ინსტიტუტი (ქ. რიგა, ლატვია); ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ქ. ჩერნიგოვი, უკრაინა); მიხაილ ბალუდიანსკის აკადემიური საზოგადოება (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი); თურქეთის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ტრაბზონი, თურქეთი); ბაქოს საზღვაო აკადემია (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი); კიევის სახელმწიფო საზღვაო ტრანსპორტის აკადემია (ქ. კიევი, უკრაინა); უკრაინის საზღვაო მეცნიერებათა, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საერთაშორისო აკადემია (ქ. ნიკოლაევი, უკრაინა); ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ქ. ვარშავა, პოლონეთი); უსაფრთხოების მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი); კოშიცეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი); ჩეხეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი პრაღაში (ქ. პრაღა, ჩეხეთი); პირი რეისის საზღვაო უნივერსიტეტი (ქ. სტამბული, თურქეთი).

დაწესებულებას ჰყავს ასევე, პარტნიორი დარგობრივი ორგანიზაციები: „Poseidon“; „Iberia Navigation +“; „Fregat“; „Elseri“; „Internatonal Maritime Group“; „Baltic Group International, Georgia“; „Eurostar Marine“; „Aries“; „NONAT XXI“; შპს „გზა“; შპს „ბმს გორგია“; BATOS SHIPPING LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია); INFLOT BATUMI LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია); TERO MARITIME AGENCY LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია); შპს „კარგო ტრანს გრუპი“; შპს „ჯეო ტრანს გრუპი“ (საექსპედიციო გადამზიდავი კომპანია); შპს „ბათუმის რეილ გრუპი“; შპს „ემ ერ ჯი ლიმიტედ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა სტრუქტურულ ერთეულად გამოყო პროფესიული განათლების დეპარტამენტი. დეპარტამენტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დაქვემდებარებაშიც არიან მოადგილე და მდივანი. დეპარტამენტს ჰყავს საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი. დაწესებულებაში ყველა პირობაა შექმნილი პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

VI. რეკომენდაციების შეჯამება

მიზნები და რეკომენდაციები:

- უზრუნველყონ მასწავლებლების გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის მიმართულებით;
- სასურველია პროფესიული პროგრამების კატალოგს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- კატალოგიდან ამოღებულ იქნას ინფორმაციები საგნობრივი პროგრამების შესახებ, რამდენადაც მათი განხორციელება შეწყვეტილია;
- სასურველია კატალოგში გაჩნდეს ჩანაწერი სსსმ პროფესიული სტუდენტების სწავლების მიდგომების შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და პროფესიული პროგრამების კატალოგიდან ამოღებულ იქნას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაწესებულება წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის (IAMU) წევრს, რაც ამ ეტაპისთვის აღარ შეესაბამება სიმართლეს;
- სასურველია მისია უფრო ლაკონურად იქნას წარმოდგენილი და აქცენტი გაკეთდეს პროფესიულ განათლებაზე;
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის უფრო დეტალურად გაწერასთან დაკავშირებით. კერძოდ: გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც არსებულ პუნქტებს სასურველია დაემატოს: განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ინდიკატორები, და საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელ დებულებაში საუბარია საგნობრივი პროგრამებზეც, რომელსაც დაწესებულება აღარ ახორციელებს. შესაბამისად ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დებულების ამ კუთხით გადახედვასთან დაკავშირებით;
- რამდენადაც დაწესებულებაში პროფესიული განათლებისთვის ცალკე დეპარტამენტი შექმნილი და შესაბამისად შემუშავებულია მარეგულირებელი დებულება, სასურველია მასში ცალკე პუნქტებად შევიდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები;
- წარმოდგენილ პროგრამაში დასაქმების ერთ-ერთ შესაძლებლობად წარმოდგენილია გემზე ელექტრიკოსად მუშაობა სპეციალური კურსების გავლის შემდგომ, თუმცა ამ ეტაპზე კურსის პროგრამა შემუშავებული არ არის. შესაბამისად ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

რეკომენდაცია სტუდენტების მიღებამდე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან ერთად, ან თავად, შეიმუშავონ ეს კურსი, ან იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპისთვის ეს ვერ ხერხდება, პროგრამიდან ამოიღონ ეს კონკრეტული ჩანაწერი.

VII. დაწესებულების მისია

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისია გამოხატავს დამფუძნებლების, სტუდენტების, მაგისტრანტების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების ხედვას და განსაზღვრავს პასუხს კითხვებზე „ვინ ვართ? რას ვაკეთებთ? ვისთვის ვაკეთებთ?“.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს ღია სოციალურ და საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც ინსტიტუციური თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით მიმართულია უზრუნველყოფს:

- ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირება და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა;
- დისკრიმინაციისაგან თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში განათლების მიღება და მისი თანასწორი ხელმისაწვდომობა და ღია ხასიათი, პიროვნების ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა;
- ბნსუ-ს თანასაზოგადოების თითოეულ წევრზე ორიენტირებული უსაფრთხო და კეთილმოწყობილი ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სწავლის სუბიექტთა მხარდაჭერის პოლიტიკის გატარება;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობა (საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ტრეინინგ-კურსები) როგორც განათლების პრიორიტეტულ დარგში - ტრანსპორტში (განსაკუთრებით, საზღვაო სფეროში), მისი ექსპლუატაციისა და მომსახურების, ადმინისტრირების, მენეჯმენტის და სხვ. მიმართულებით, ისე საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამის სხვა სფეროებში;
- ტრანსპორტის (განსაკუთრებით - საზღვაო) დარგში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მაღალი დონე;

16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

- საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თანამედროვე ცოდნისა და აქტუალური პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალების მომზადება და პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის, პროფესიონალური ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარების, პერსონალური და პროფესიონალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო სივრცეში, კერძოდ, შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში საზღვაო განათლების დარგში ლიდერის იმიჯის მოპოვება;
- უწყვეტი განათლების, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების მხარდაჭერა.

ღირებულებები

- ჰუმანურობა, ტოლერანტობა და თანასწორობა;
- სინდისის, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- გადაწყვეტილების ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა;
- აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება.

ხედა

ბნსუ 2025 წელს - კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, საერთაშორისო საგანმანათლებლო, დარგობრივ და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ერთნაირად პრესტიჟულია შრომა და სწავლა. ამავდროულად, ბნსუ არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივი ორგანიზაციებისთვის სასურველი პარტნიორი, რომელსაც აქვს ცნობადი და ევროპულ საგანმანათლებლო და დარგობრივ სივრცეში აღიარებული ბრენდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი 245433623) 2013 წლის 15 თებერვალს მიენიჭა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N04) და ავტორიზაციის ვადად განესაზღვრა 2019 წლის 15 თებერვალი.

დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება ნდ N2-030101-12, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით ოქმი N10 26.12.2017. დებულებით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება, დამტკიცება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; ცვლილებების შეტანა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა; პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სხვა.

მარეგულირებელ დებულებაში საუბარია საგნობრივი პროგრამებზეც, რომლებსაც დაწესებულება აღარ ახორციელებს. შესაბამისად ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დებულების გადახედვასთან დაკავშირებით.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 3 პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა, რომლებიც პროფესიული დეპარტამენტის

18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

ხელმძღვანელმა 2018 წლის 27 ივლისს განსახილველად წარუდგინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (ოქმი N8) და რომელმაც თავის მხრივ, როგორც უფლებამოსილმა ორგანომ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება ნდ N2-030101-12) მიიღო გადაწყვეტილება პროგრამების დამტკიცების შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე დოკუმენტი „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, რომლის თანახმადაც განსახორციელებლად შერჩეული პროგრამები სრულ თავსებადობაშია დაწესებულების მისიასთან, კონცეფციასთან და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან და რამდენადაც ახალი პროგრამები საზღვაო სფეროს მიეკუთვნება შესაბამისობაშია რეგიონულ პრიორიტეტებთანაც. დაწესებულების ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ ჩაატარეს გამოკითხვები, რომლის შედეგებმაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითა საზღვაო სპეციალისტების მზარდ მოთხოვნაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ მოდულური პროგრამების შერჩევის დასაბუთების მიზნით, დაწესებულებამ შექმნა მუშა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა პროგრამების შინაარსი, მოთხოვნები ადამიანური და მატერიალური რესურსების მიმართ და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება პროგრამების არჩევასთან დაკავშირებით.

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამები ადაპტირებულია, მათში წარმოდგენილია პროგრამის დასახელება, განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, ხანგრძლივობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი; პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოცემულია ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. შემუშავებულია ასევე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. პროფესიული პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 22) განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონით განსაზღვრულ წესებთან.

პროფესიულ მასწავლებლებს ჯერ არ აქვთ შემუშავებული კალენდარული გეგმები. მათთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ისინი ავტორიზაციის მიღების შემდგომ გეგმავენ კალენდარულ გეგმების საბოლოო ვარიანტის შედგენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა წარმოგვიდგინეს მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები და ექსპერტებისგან მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.

ეს პროგრამებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

1. საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემზანის რიგითი მეზღვაური. მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემზანე განყოფილების ექსპლუატაციაში.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა ითვალისწინებს **91** კრედიტის მოცულობის მოდულებს (1 კრედიტი - 25 სთ. სულ 2 275 საათი).

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - **16** კრედიტის მოცულობით (400 სთ);
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - **75** კრედიტის მოცულობით(1 875 სთ.) .

პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს **14** სასწავლო თვეს (62 კვირა), აქედან **6** თვე ეთმობა საწარმო პრაქტიკას.

არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, პროგრამის საწყის ეტაპზე უნდა გაიარონ მოდული „ქართული ენა A2“ (15 კრედიტის მოცულობით). აღნიშნული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა **106** კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - **17** სასწავლო თვეს შეადგენს (74 კვირა).

დადგენილი წესის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა პროგრამის მიხედვით, წელიწადში ორი ნაკადის (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების) გათვალისწინებით განსაზღვრულია 130 (65+65) სტუდენტი. 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგები, რომლის მიღწევაც მოხდება პრაქტიკის ობიექტზე.

2. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში.


ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამა მოიცავს 87 კრედიტს (1 კრედიტი - 25 სთ. სულ 2175 საათი). აქედან: ზოგადი მოდულები 16 კრედიტის მოცულობით (400 სთ), პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 71 კრედიტის მოცულობით (1 775 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 თვეს (61 კვირა). არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, პროგრამის საწყის ეტაპზე უნდა გაიარონ მოდული „ქართული ენა A2“ (15 კრედიტის მოცულობით). აღნიშნული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა **102** კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - **17** სასწავლო თვეს (73 სასწავლო კვირა) შეადგენს.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

დადგენილი წესის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა პროგრამის მიხედვით, წელიწადში ორი ნაკადის (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების) გათვალისწინებით განსაზღვრულია 100 (50+50) სტუდენტით. 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგები, რომლის მიღწევაც მოხდება პტაქტივის ობიექტზე.

3. „ელექტრობა მესამე საფეხურის“ - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში.

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამა 52 კრედიტს მოიცავს (1 კრედიტი - 25 სთ, სულ 1300 სთ). აქედან მესამე საფეხურის ელექტრობის ზოგადი მოდულები 6 კრედიტის მოცულობით (150 სთ), საერთო ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 18 კრედიტის მოცულობით (450 სთ), მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 28 კრედიტი (700 სთ). სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს - 10 სასწავლო თვეს (45 სასწავლო კვირა).

არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებისთვის, პროგრამის მოცულობა 67 კრედიტია, ხოლო ხანგრძლივობა - 13 სასწავლო თვეს (57 სასწავლო კვირა) შეადგენს.

დაწესებულების მიერ დადგენილი წესის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა პროგრამების მიხედვით, წელიწადში ორი ნაკადის (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების) გათვალისწინებით განსაზღვრულია 20 (10+10) სტუდენტით. 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგები, რომლის მიღწევაც მოხდება პტაქტივის ობიექტზე.

„ელექტრობა მესამე საფეხურის“ პროგრამაში დასაქმების ერთ-ერთ შესაძლებლობად წარმოდგენილია გემზე ელექტრიკოსად მუშაობა სპეციალური კურსების გავლის შემდგომ, თუმცა ამ ეტაპზე კურსის პროგრამა შემუშავებული არ არის. შესაბამისად ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტუდენტების მიღებამდე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან ერთად, ან თავად, შეიმუშავონ ეს კურსი, ან იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპისთვის ეს ვერ ხერხდება, პროგრამიდან ამოიღონ ეს კონკრეტული ჩანაწერი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამივე პროგრამის საერთო მოცულობიდან საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 6 თვე, რომლის განხორციელებაც იგეგმება შემეგი სახით: საგანმანათლებლო პროგრამების - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“ და „გემის სამანქანე განყოფილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ - სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან სასწავლო-საწვრთნელ გემ „ელიტაზე“, თბომავალ „ელდორადოზე“. პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებებია დადებული ასევე პატარა თევზსაჭერ გემების მფლობელებთან: თბომავალი „ვიქტორია“; თბომავალი „საბა“; „ფოთი“ „ედუარდი“; „ილორი“; „არგო“; „1151“; „განთიადი“ „სამეგრელო“ და შპს „საქართველოს მეთევზეთა კავშირთან 2015“. საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა მესამე საფეხურის“ - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისში“.

დოკუმენტაციის და ხელშეკრულებების გაცნობის, პროფესიული დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ თბომავალ „ელიტას“ ერთ ჯერზე 20 სტუდენტის მიღება შეუძლია, თბომავალი „ელდორადო“ 20/25 სტუდენტის მიღებას გეგმავს, შპს „საქართველოს მეთევზეთა კავშირთან 2015“. დადებული ხელშეკრულების 2.1. მუხლის თანახმად დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით შეუძლია ერთდროულად მის საკუთრებაში არსებულ გემებზე ერთ ჯერზე მიიღოს 15/20 პროფესიული სტუდენტი. თბომავლებზე: „ვიქტორია“, „საბა“, „ფოთი“, „ედუარდი“, „ილორი“, „არგო“, „1151“, „განთიადი“ და „სამეგრელო“ - იგეგმება, თითოეულზე, 10 სტუდენტის მიღება. პროგრამის „ელექტროობა მესამე საფეხურის“ - სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლა დაგეგმილია გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისში“, რომელიც ხელშეკრულების თანახმად მზად არის 10-15 სტუდენტს მოემსახუროს.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკის ობიექტები სამივე პროგრამისთვის დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობას წელიწადში ორი ნაკადის - საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების გათვალისწინებით (125 სტუდენტი ერთი ნაკადისთვის 65+50+10) სრულად უზრუნველყოფენ პრაქტიკით.

პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლავს შესაბამისი მოდულების კონკრეტული შედეგები და სასწავლო გეგმები.

ექსპერტების მიერ ვიზიტის პერიოდში განხორციელდა 2 პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება - სასწავლო გემი „ელიტა“ და გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისი“. გემზე გამოყოფილია სასწავლო ოთახი, რომელშიც განთავსებულია მაგიდები, თვალსაჩინოებები და შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი. ორივე ობიექტზე განხორციელდა პრაქტიკის ხელმძღვანელების ინტრვიუება და მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენა. პრაქტიკის განმახორციელებლებმა ადგილზე წარმოგვიდგინეს შესაბამისი მოდულები და სასწავლო გეგმები, დაგვათვალიერებინეს მოდულით განსაზღვრული მატერიალური რესურსები. ინტრვიუებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ შესწავლილი აქვთ მოდულები და ის შედეგები, რომლებიც მათ მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა იქნას მიღწეული, შემუშავებული აქვთ მათი განხორციელების გზები და შეფასების კრიტერიუმები. დადგინდა, რომ პროგრამების ხელმძღვანელები და დეპარტამენტის კოორდინატორი აქტიურად თანამშრომლობენ მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის 27 ივლისს ჩატარებული უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომის ოქმით N8;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით ნდ N2-030101-12;
- ხელშეკრულებით N 02/18, 01.06.2018 წ. თბომავალ „ელიტასთან“;
- ხელშეკრულებით N 06/18, 23.07. 2018 წ. თბომავალ „ელდორადოსთან“;
- მემარანდუმით N07/18, 02.08.2018. შპს „საქართველოს მეთევზეთა კავშირთან 2015“.
- ხელშეკრულებით N08/18, 04.08.2018 თბომავალ „ვიქტორიასთან“;
- ხელშეკრულებით N09/18, 04.08.2018 თბომავალ „საბასთან“;
- ხელშეკრულებით N010 /18, 04.08.2018 თბომავალ „ფოთთან“
- ხელშეკრულებით N011 /18, 04.08.2018 თბომავალი „ედუარდთან“;
- ხელშეკრულებით N012 /18, 04.08.2018 თბომავალ „ილორთან“,
- ხელშეკრულებით „N014 /18, 04.08.2018 თბომავალ „არგოსთან“,
- ხელშეკრულებით N013 /18, 04.08.2018 თბომავალ „1151“-თან;
- ხელშეკრულებით N015/18, 04.08.2018 „განთიადთან“;
- ხელშეკრულებით N016/18, 04.08.2018 „სამეგრელოსთან“;
- ხელშეკრულებით N03/18 01.06.2018 გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისთან“;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების 2018 წლის კატალოგი, რომელიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირს კატალოგის მეშვეობით შეუძლია გაეცნოს დაწესებულების მოკლე ისტორიას და იმ წარმატებებს, რომლებიც არსებობის პერიოდში მოიპოვა უნივერსიტეტმა. აქვეა წარმოდგენილია უნივერსიტეტის მისია, ღირებულებები და ხედვა, მოცემულია ინფორმაცია დამსაქმებლების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. განთავსებულია საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატები. კატალოგში წარმოდგენილია 3 პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა. პროგრამებში აღწერილია მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზანი და სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა (კრედიტების რაოდენობა) და ხანგრძლივობა, შეფასების სისტემა მოდულური პროგრამების ფარგლებში. კატალოგთან დაკავშირებით დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცათ რეკომენდაცია საგნობრივი პროგრამების ამოღებასთან დაკავშირებით (რამდენადაც მათი განხორციელება აღარ მიმდინარეობს). ასევე, ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასურველი იქნებოდა კატალოგში გაჩენილიყო ჩანაწერები სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციების და სსსმ პროფესიული სტუდენტების სწავლების პრინციპების შესახებ.

კატალოგში არის ჩანაწერი, რომ დაწესებულება წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის (IAMU) წევრს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ამასთან დაკავშირებით, მივიღეთ ახსნა განმარტება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან, რომ ჩარჩენილია ძველი მონაცემები და უახლოეს მომავალში იგეგმება მისი შეცვლა.

რეკომენდაცია მიეცა სასწავლებელს მისიასთან დაკავშირებითაც და კერძოდ: სასურველია მისია უფრო ლაკონურად იქნას წარმოდგენილი და მასში აქცენტი გაკეთდეს პროფესიულ განათლებაზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგით;
- ვებ- გვერდით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
 ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი მოდულური პროგრამების სწავლის შედეგების გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებთან შედარებით;

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
 ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება) და მობილობის წესები (მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა), ხოლო შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებით“ - შინაგანაწესით განსაზღვრულია (მუხლი 19) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების წესები.

დოკუმენტის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური; აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი; გამოცდის/გასაუბრების ჩატარების პირობები და თარიღები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე, შესაძლებელია ასევე გასაუბრების/გამოცდის ჩატარება. პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება დაწესებულების ვებ - გვერდის მეშვეობით, შესაძლებელია ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები. სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს). არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განცხადებას ავსებს მისი კანონიერი წარმომადგენელი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას; 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე) და სხვა.

დოკუმენტში განსაზღვრულია მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის პროცედურაც, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტი მობილობის მსურველის სტატუსს მოიპოვებს დადგენილი წესით რეგისტრაციის შედეგად. კერძოდ, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს კონკრეტულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან

26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019

დაკავშირებით და უნივერსიტეტის მოთხოვნის თანახმად წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. მობილობის შემთხვევაში დაწესებულება შეიმუშავებს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის თაობაზე.

ამავე დოკუმენტის (მუხლი15) მიღებული განათლების (პროფესიული განათლების კრედიტების აღიარება) თანახმად, მიღებული კრედიტების აღიარება ხდება პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ში არჩეული პროფესიული პროგრამის კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით. პროგრამის კომპონენტების კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს მიღებული კრედიტების პირდაპირი აღიარების, პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი პროფესიული პროგრამის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების/მოდულის/სწავლის შედეგის შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე ან/და გასაუბრების/გამოცდის საფუძველზე ბნსუ-ს პროფესიულ პროგრამასთან პროფესიული სტუდენტის კომპეტენციების თავსებადობის/შესაბამისობის დადგენის გზით. ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევაში - პირს უარი ეთქმება ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე ან პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბნსუ-ს პროფესიული პროგრამა.

რამდენადაც დაწესებულებაში პროფესიული განათლებისთვის ცალკე დეპარტამენტია შექმნილი და შესაბამისად შემუშავებულია მარეგულირებელი დებულება, სასურველია მასში ცალკე პუნქტებად შევიდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით (ნდ N2-030101-12);
- წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N10 26.12.2017);
- შინაგანაწესით;

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებაში ნდ N2-030101-12, (მუხლი 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა) წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გარე მობილობის საფუძველზე სწავლა გააგრძელოს ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც ბნსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმში/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ დაწესებულებებთან:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ (პროგრამისთვის ელექტროობა მესამე საფეხურის - ელექტრიკოსი; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში);
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სთან; (პროგრამებისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში და „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური. მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში“).
- შპს უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“ ((პროგრამებისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში და „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური. მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში“).

ხელშეკრულებების თანახმად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ითანამშრომლებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, მხარეები, კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით, მიიღებენ პროფესიულ სტუდენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით ნდ N2-030101-12;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. 

- ხელშეკრულებით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღასთან“ (N05/18, 23.07.2018);
- ხელშეკრულებით შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სთან;
- ხელშეკრულებით შპს უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ „ანრისთან“ (N04/18, 23.07.2018).

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილია და გამოიყენება როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. თავის მხრივ, დაწესებულებაში მიმდინარე ადმინისტრაციული და სწავლება-სწავლის პროცესების ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა და მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის სისტემის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და შიდა მონიტორინგს ახორციელებს ბსნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, წინასწარ დადგენილი პერიოდულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელ დებულებაში”, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის No 10 გადაწყვეტილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში აღარ ხორციელდებოდა საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის პროცესში იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოთ აღწერილი სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით, შესწავლილ იქნა ავტორიზაციის ვიზიტამდე არსებული საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასების პრაქტიკა, შესაბამისი დოკუმენტები და გატარებული ინტერვენციები. დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასებისას დაწესებულება მოქმედებდა PDCA ციკლის შესაბამისად. შეფასებაში ჩართულები იყვნენ როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების ხარისხის შეფასება ძირითადად ხორციელდებოდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის, მისი შედეგების ანალიზისა და სასწავლო პროცესის არაგეგმიური მონიტორინგის საშუალებით. გარდა ამისა, სწავლების პროცესში ჩართული ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის ხარისხის შეფასებას ახორციელებდა ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი, ISO სტანდარტის შესაბამისად. შეფასების შედეგები გამოიყენებოდა პროფესიული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტებით;
- გეგმიური მონიტორინგის ფორმებით;
- ინტერვიუებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის No 10 გადაწყვეტილებით);
- ხარისხის სისტემის მართვის სამსახურის დებულებით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის No 10 გადაწყვეტილებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის No 10 გადაწყვეტილებით).

შეფასება:

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი განთავსებულია თამარ მეფის გამზირზე, N38-ში მდებარე 5257 კვ. მ. მიწის ფართზე მდებარე შენობა ნაგებობებში. ID ნომერი 245433623.

N 1 -2328.8 კვ.მ;

N 2 -734. 35 კვ.მ;

N3 – 1063.76 კვ.მ;

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38	4126.91 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- შენობების აზომვითი ნახაზებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება და დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერის 28/11-2018 წლის #02-43 ბრძანებით გამოყოფილი I კორპუსის II სართულის 6 აუდიტორია.

1. N4 – 35 კვ.მ;
2. N5 – 36 კვ.მ;
3. N6 – 36 კვ.მ;
4. N7 – 39 კვ.მ;
5. N8 – 42 კვ.მ;
6. N10 – 35 კვ.მ;

აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: მერხი - ერთადგილიანი -250, სკამი - 250, დაფა - 7, კათედრა - 7, პროექტორი - 8, პროექტორის ეკრანი - 7, ნოუტბუქი -7.

ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერის 10/12-2018 წლის #02-70 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისათვის დღის მეორე ნახევარში 14:00-დან 19:00 საათამდე დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა: პირველი კორპუსის III სართულის ერთი აუდიტორია და ნავიგაციის კაბინეტი, პირველი სართულზე განთავსებული კომპიუტერული კლასები (20-25 ადგილიანი), ლინგაფონის კაბინეტი (24 ადგილიანი), ელექტრობის ლაბორატორია, ისევე როგორც სხვა კაბინეტები.

დაწესებულება პროფესიული განათლების სწავლებას გეგმავს დღის მეორე ნახევარში 2 ნაკადად (125-125) და გამოყოფილი ფართი სავსებით საკმარისია ეფექტიანი სწავლებისთვის. ის ხელს არ და ვერ შეუშლის უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება პროგრამების განსახორციელებლად აუცილებელ მატერიალურ რესურს, დაწესებულებას შეძენილი აქვს ყველა მასალა და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში შეიძენს სავალდებულო ნედლეულსაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გამოთვლა პროგრამების მიხედვით;
- კანცლერის ბრძანებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული გარემო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. ძირითად 4 სართულიან სასწავლო შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. დაწესებულებას ელექტროენერჯით უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, გაზით - შპს „სოკარ პრო ჯორჯია გაზი“, წყლით შპს „ბათუმის წყალი“. წყალი უნივერსიტეტს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. შენობების გათბობა ხორციელდება ცენტრალური გათბობის მეშვეობით, რაც ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის საკუთარი საქვაბე სისტემის მეშვეობით. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია. შენობის ყველა სართულზე განლაგებულია სველი წერტილები (20) და მათში დაცულია სანიტარული ნორმები. დაწესებულებაში არის ადაპტირებული სველი წერტილებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებით სს „ენერჯო-პრო ჯორჯიასთან“;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- წყალმომარაგების ხელშეკრულებით შპს „ბათუმის წყალთან“;
- ხელშეკრულებით გაზის ნასყიდობის შესახებ შპს „სოკარ პრო ჯორჯია გაზთან“;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურებით.

შეფასება:

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


უნივერსიტეტში შექმნილია ბიბლიოთეკის დებულება (ნდ N2-010301-18), რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N10, 26,12,2017წ.). დებულებით განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, ფუნქციები, სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და პერსონალის უფლებები და მოვალეობები. დოკუმენტი შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო-საინფორმაციო მომსახურების ცენტრს და უზრუნველყოფს მომხმარებელთა საინფორმაციო საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზებასა და საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობას. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის განრიგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია კომფორტული სამკითხველო დარბაზი 16 სამუშაო მაგიდით, აღჭურვილია 14 კომპიუტერით, ლეპტოპით, პრინტერით, მძლავრი ასლგადამღებით. ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდი აერთიანებს სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ მასალებს, რიდერებს და სხვა ბეჭდურ და ელ-ვერსიებს. ასევე, ელექტრონული ფონდი მოიცავს ელ-მატარებლებზე არსებულ აუდიო- და ვიდეომასალებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს დაახლოებით 16900- ერთეულს: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის, 145 ერთეული ელ-მატარებლებზე (CD).

ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი: Open Biblio. ამ ეტაპისთვის წიგნადი ფონდი სრულად არ არის შეყვანილი მაგრამ მიმდინარეობს პროცესი. ბიბლიოთეკის მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ელექტრონული საბიბლიოთეკო მომსახურებით და მოიძიოს და დაჯავშნოს საჭირო ლიტერატურა bntu.ini.ge-ზე. ელექტრონული ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ბნსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალისათვის შესაძლებელია, აგრეთვე, საერთაშორისო ბიბლიოთეკით "Wetherbys Library" სარგებლობა, რომელიც მოიცავს საზღვაო დარგში IMO-ს უახლეს გამოცემებს.

დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან (ხელშეკრულება N2018/04), რომლის თანახმადაც დაწესებულება დარეგისტრირებულია პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრად, რაც აძლევს მას საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების უფლებას.

ექსპერტების ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულებით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით შემოწმება. ყველა ჩვენ მიერ მოთხოვნილი სახელმძღვანელო ადგილზე აღმოჩნდა. ძირითადად პროფესიული პროგრამებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები ელექტრონულ მატარებლებზეა წარმოდგენილი.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასაუბრების და ასევე წიგნების შერჩევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფონდი საბიბლიოთეკო წესების სრული დაცვით არის დამუშავებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- სასაქანლო ზედნადებებით;
- უნივერსიტეტის ვებგვერდით;
- ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მფლობელობაშია და სხვადასხვა აუდიტორიაში განთავსებულია 137 პერსონალური კომპიუტერი და 31 ნოუთბუქი, 36 პრინტერი და 38 პროექტორი, 5 ასლგადამღები აპარატი, 4 სკანერი.

ახალი 3 საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია 8 კომპიუტერი და 8 პროექტორი. ბიბლიოთეკაში გამოიყენება 14 კომპიუტერი. უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://bntu.edu.ge> ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. უნივერსიტეტი აწარმოებს რეესტრს მოქმედი კანონმდებლობით. შემუშავებულია საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების წესი.

ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N80 (23.05,2018 VIP პაკეტი) შპს „WEBGEORGIA-სთან“. ხელშეკრულება ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით დადებულია, ასევე, სილქნეტთან 2018. 1 აგვისტოს. გაფორმებულია ხელშეკრულება ვებგვერდის შექმნა - დამზადება და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ფიზიკურ პირთან (25 დეკემბერი, 2017 წელი). ხელშეკრულება ჰოსტინგისა და დომენური სახელების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე შპს „ჯი-ემ-ემ სტუდიოსთან“ ს/ნ 445439393.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების წესით;
- ხელშეკრულებით N80 (23.05,2018 VIP პაკეტი) შპს „WEBGEORGIA-სთან“;
- ხელშეკრულებით სილქნეტთან (2018. 1 აგვისტო);
- უნივერსიტეტის ვებგვერდით <http://bntu.edu.ge>;
- ხელშეკრულებით ჰოსტინგისა და დომენური სახელების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე შპს „ჯი-ემ-ემ სტუდიოსთან“ ს/ნ 445439393
- საგადასახადო ანგარიშგაქტურებით.

36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

თბილისი, 2019

შეფასება:

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია ელექტრონული მართვის სისტემაში. ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 1 სექტემბერს შპს ინი+ - თან, ხოლო 2017 წლის 10 ნოემბერს ხელშეკრულება გაფორმდა კერძო პირთან მომსახურების შესახებ.

შემუშავებულია კანცელარიის დებულება (ნდ N2-010301-19), რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N10, 26.12.2017). დებულებით განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები, კანცელარიის ფუნქციები, კანცელარიის ხელმძღვანელის და პერსონალის უფლებები და მოვალეობები. დოკუმენტი შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შემუშავებული და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N10, 26.12.2017) დამტკიცებულია ასევე საქმისწარმოების წესები (ნდ N2-020101-10), რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. ბრძანებების აღრიცხვა ხორციელდება ასევე ჟურნალში გატარებით, რომელიც დანომრილი და ზონარგაყრილია.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა შემდეგი ჟურნალები:

- პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს სხდომების აღრიცხვის ჟურნალი;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განკარგულებების /ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- პროფესიული სტუდენტთა და მშობელთა განცხადებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობების რეგისტრაციის ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. 

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულებით შპს ინი+ - თან (2016 წლის 1 სექტემბერს);
- კანცელარიის დებულებით (ნდ N2-010301-19);
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს სხდომების აღრიცხვის ჟურნალით;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განკარგულებების /ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- პროფესიული სტუდენტთა და მშობელთა განცხადებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით ნდ N2-030101-12;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობების რეგისტრაციის ჟურნალით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ცეცხლმაქრები მოქმედი და დატენილია, საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

ქცევის წესები და შესაბამისი უწყებების ტელეფონის ნომრები. წარმოდგენილია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მექანიზმები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად იმართება ცრუ განგაში და რომ ისინი ხშირად გადიან შესაბამის ინსტრუქტაჟს, რომელსაც მათ კვალიფიციური კადრები უტარებენ.

დაწესებულებას აქვს სამედიცინო პუნქტი, რომელიც წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს და რომელიც უზრუნველყოფს ბნსუ-ს სტუდენტების, თანამშრომლების და დაწესებულებაში მყოფი სხვა პირების პირველად სამედიცინო დახმარებას, ასევე უნივერსიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის კონტროლს. შექმნილია სამედიცინო პუნქტის დებულება (ნდ N2-010301-26), რომელიც შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (ოქმი N10, 26.12.2017). პუნქტის ხელმძღვანელს და სამედიცინო პერსონალს კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს კანცლერი. სამედიცინო პუნქტში მომუშავე პირს აქვს სამედიცინო განათლება. პუნქტში განთავსებულია 1 დივანი, 1 საკაცე, 1 მაცივარი, მედიკამენტები. დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტების და მასალების მარაგის შექმნის მონიტორინგის დოკუმენტაცია, ჩანაწერის წიგნები, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების ჩანაწერები.

წარმომადგენლობითი საბჭოს N10 ოქმის თანახმად (26.12.2017) შექმნილია დაცვის სამსახურის დებულება (ნდ N2-010301-17), რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ზოგადი დებულებები; დაცვის სამსახურის ფუნქციები; დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის და პერსონალის უფლებები და პასუხისმგებლობები. დაცვის სამსახურის ფუნქციებში შედის ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების და შენობაში მყოფი სხვა პირების უსაფრთხოების დაცვა, ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა და უკანონო ქმედების აღკვეთა, მატერიალური რესურსების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, ყოველდღიურად შენობის ტერიტორიის დათვალიერება და სხვა. შენობის გარე და შიდა პერიმეტრებს, ყველა სართულს აკონტროლებს 13 (შიდა) + 6 (გარე) ვიდეოთვალი.


დასტურდება (მტკიცებულია/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სამედიცინო პუნქტის დებულებით;
- წარმომადგენლობითი საბჭოს N10 ოქმით;
- დაცვის სამსახურის დებულებით;
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსსმ პირთათვის დაწესებულებაში შექმნილია ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია ლიფტი, შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსზე გადაადგილებით, მოწყობილია ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ადაპტირებულია სველი წერტილები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდია <http://bntu.edu.ge>, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: უნივერსიტეტის ღირებულებები, მისია, მიზნები, ამოცანები, უნივერსიტეტის ისტორია, განვითარების გეგმა, სტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მართვის ორგანოები, მატერიალურ ტექნიკური ბაზა, დამსაქმებელი პარტნორების სია, საბაკალავრო და

40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.

სამაგისტრო პროგრამების კატალოგი, პროფესიული პროგრამების კატალოგი, აკადემიური კალენდარი, იურიდიული ცნობარი, პარტნიორი უნივერსიტეტები, საპატიო დოქტორები, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული მართვის სისტემა, საკონტაქტო ინფორმაციები, ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია და სხვა.

ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად. ინფორმაცია მოცემულია, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით <http://bntu.edu.ge>;
- ვიზუალური დათვალიერებით ;
- საგადასახადო ანგარიშგაქტურებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2013 -2017 წწ პერიოდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდნენ ბნსუ-ს ფაკულტეტები, ხოლო 2018 წლიდან პროფესიული განათლების დეპარტამენტმა, როგორც სტრუქტურულმა ერთეულმა დაიწყო ფუნქციონირება და შესაბამისად შეიქმნა პროფესიული განათლების დეპარტამენტის განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.

პროფესიული განათლების დეპარტამენტის განვითარების კონცეფცია (2019 – 2025) წარმოადგენს დეპარტამენტის ხედვას და ბნსუ-ს განვითარების სტრატეგიის ნაწილს. დოკუმენტის თანახმად კონცეფციის ძირითადი მიზანია მიღწევების ობიექტურად შეფასება და ძლიერი მხარეების განმტკიცება, დეპარტამენტის ეტაპობრივი განვითარება, ძლიერი მხარეების და შესაძლებლობების სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

გამოყენების, სუსტი მხარეებისა და საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანის გზით. დოკუმენტში განხილულია არსებული მდგომარეობა, შიდა და გარე გამოწვევები, საქმიანობის ანალიზი, დეპარტამენტის კონკურენტუნარიანობის საფუძვლები, განვითარების პერსპექტივები, განვითარების ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები, დეპარტამენტის განვითარების ძირითადი მიზნობრივი ინდიკატორები, კონცეფციის რეალიზების რესურსები, პასუხისმგებლობები, შესრულების მონიტორინგის და კორექტირების მექანიზმი, საკადრო პოლიტიკა და სხვა.

პროფესიული განათლების დეპარტამენტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეყრდნობა და გამომდინარეობს დეპარტამენტის 2019-2025 წლების განვითარების კონცეფციიდან და მასში ასახულია 2018-2019 წლებში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები. ორივე დოკუმენტის ამოცანებს შორის გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საჭიროების დადგენა და განვითარება (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ლაბორატორიების გაუმჯობესება).

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის უფრო დეტალურად გაწერასთან დაკავშირებით. კერძოდ: სასურველია გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც არსებულ პუნქტებს უნდა დაემატოს: განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ინდიკატორები, და საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური);

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის განვითარების კონცეფციით (2019 – 2025);
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით.

შეფასება:

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის არსებობს სტრუქტურული ერთეული პროფესიული განათლების დეპარტამენტი. მას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დაქვემდებარებაშია მოადგილე და მდივანი. დეპარტამენტს ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორიც. შემუშავებულია დეპარტამენტის დებულება, რომელშიც გაწერილია დეპარტამენტის ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობები. დებულებაში თითოეულ პოზიციაზე მყოფი პირისთვის უფლება მოვალეობებთან ერთად გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. დეპარტამენტს ჰყავს ასევე დეპარტამენტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: საბჭოს თავმჯდომარე - დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრები - პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლები, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

დეპარტამენტის საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:


- დეპარტამენტის განვითარების გეგმებისა და პროექტების განხილვა;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და განხორციელების მიზანშეწონილობის განსაზღვრა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, მათი მოდიფიცირების, განვითარების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების საკითხების განხილვა;
- პროფესიული პროგრამების სათანადო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების განხილვა;
- პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- დადგენილი კვოტის ფარგლებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის დადგენა;
- პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიმართ დამატებითი მოთხოვნების დადგენა;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების და პროფესიულ კვალიფიკაციების მინიჭების საკითხების განხილვა;
- დეპარტამენტის დებულების, დეპარტამენტის სტრუქტურაში და დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა;

43

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

თბილისი, 2019

- დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის რეკომენდაციების და ანგარიშების განხილვა;
- დეპარტამენტის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დეპარტამენტში ჩატარებული სამუშაოს შესახებ განხილვა;
- საწარმოო და საცურო პრაქტიკის ორგანიზების, სრულყოფის საკითხების განხილვა;
- განხილული საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა და რეკომენდაციების წარმოდგენა.

დეპარტამენტის თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, ხოლო შექმნილი სტრუქტურა ვფიქრობთ ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების განვითარებას უნივერსიტეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულებით (ნდ №2-010301-31);
- დეპარტამენტის კოორდინატორთან გასაუბრებით;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერთან და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში-ბნსუ) თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება ბნსუ-ს „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულების (ნდ №2-030101-12), მუხლი 25-ით დადენილ წესებს. ამ წესების შესაბამისად პროფესიულმა დეპარტამენტმა დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა პროგრამების მიხედვით, წელიწადში ორი ნაკადის (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების) გათვალისწინებით, წარმოადგინა შემდეგი სახით:

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური. მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში - 130 (65+65);
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში -100 (50+50);
- ელექტროობა მესამე საფეხურის - ელექტრიკოსი; მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში -20 (10-10).

პროგრამების განხორციელებაში დაწესებულებას ჩართული ჰყავს 26 მასწავლებელი.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტით მოთხოვნილი პირობა „თანაფარდობა 20 პროფესიულ სტუდენტზე 1 განმახორციელებელი“ ბნსუ-ს შესრულებული აქვს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა ბნსუ-ს პროგრამის განმახორციელებლად შერჩეული და დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პირები. პირადი საქმეების მიხედვით ყველა მასწავლებელი ფლობს უმაღლეს განათლებას, ხოლო პროფესიული ნიშნით აყვანილ მასწავლებლებს უმაღლეს განათლებასთან ერთად გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ამ კონკრეტული სპეციალობებისათვის. ბნსუ-ს ასევე წარმოდგენილი აქვს ტრენინგ გეგმა 2018 წლისათვის და პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგების ანგარიში. ჩატარებული ტრენინგები ადასტურებს ბნსუ-ის მიერ პერსონალის განვითარებაზე ზრუნვას. აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები და ხარვეზი არ ფიქსირდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით (ნდ N2-030101-12);
- მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევისა და დასაქმების მექანიზმები გაწერილია ბნსუ-ის წესდებით. მასში განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული პერსონალი არის რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. წესდებაში ასახულია, რომ დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ნუსხით და მას ამტკიცებს კანცლერი. დოკუმენტის თანახმად ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს დასაქმების მექანიზმები, ინფორმირების საშუალებები, საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, საბუთების ჩამონათვალი, წარდგენის წესი, განხილვის ვადები, კომისიის წევრები. ასევე წესდებით არის განსაზღვრული მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტებისა თუ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირთა შერჩევის წესები. ვაკანსიების დადგენა ხდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო პერსონალის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინტერვიუს დროს შემოწმდება შესაბამისი აქტები თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის შესახებ, თანამდებობრივი ინსტრუქციები და ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხელშეკრულებებში ასახულია შემდეგი პუნქტები: შრომითი ხელშეკრულების მხარეები; ხელშეკრულების საგანი და შესასრულებელი სამუშაო (სასწავლო კურსი, მოდული, სხვა); სამუშაო დრო, უქმე დღეები, ზეგანაკვეთური სამუშაო, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება; დასაქმებულის პერსონალური მონაცემები; დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები; დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები; ხელშეკრულების მოქმედების ვადა; შრომითი ურთიერთობების შეჩერება, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა; ხელშეკრულების დამატებითი პირობები, ფორს-მაჟორი, დავების გადაწყვეტა; დასკვნითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

დებულებები; მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. პროფესიულ მასწავლებლებთან ხელშეკრულების თანახმად დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულებაში მითითებული პროგრამების ავტორიზაციის და განხორციელების მიღების შემთხვევაში და დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბნსუ-ს დებულებით;
- ბნსუ- ის წესდებით;
- დანისვნის აქტებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- პერსონალის ინტერვიუებით.

შეფასება:

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

N	პროგრამის დასახელება	როგესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლებლის ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საგემბანე განყოფილებების ექსპლუატაცია -გემბანის რიგითი მეზღვაური.	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 111054	91	106	ქართული	ქ. ბათუმი თამარ მეფის გამზირი ქ. N38	130	
2	გემის სამანქანე განყოფილებების	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე	87	102	ქართული	ქ. ბათუმი თამარ მეფის	100	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. 

	ექსპლუატაცი ა-გემის სამანქანე განყოფილები ს რიგითი მეზღვაური;		განყოფილების ექსპლუატაციაში. 111055				გამზირი ქ. N38		
3	ელექტრობა მესამე საფეხურის	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში. 040569	52	67	ქარ თუ ლი	ქ. ბათუმი თამარ მეფის გამზირ ი ქ. N38		20

IX. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

03.01.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.